



## ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის

## ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

№ 485

ქალაქი ქუთაისი 5 დეკემბერი 2016 წელი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე  
29-ე სხდომის მოწვევის შე ს ა ხ ე ბ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 26-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტების საფუძველზე, **ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა**:

**მუხლი 1.** მოწვეულ იქნეს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე 29-ე სხდომა მ/წლის 7 დეკემბერს 12.00 საათზე /სხდომის ჩატარების ადგილი: ადგილობრივი თვითმმართველობის შენობაში არსებული სხდომათა დარბაზი, რუსთაველის გამზირი N3/.

**მუხლი 2.** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე 29-ე სხდომაზე წარდგენილ იქნეს **დ დ ის წ ე ს რ ი გ ის** შემდეგი პროექტი:

1. „ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 18 დეკემბრის N114 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ბატონი შ.მურღულია  
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

ბატონი კ.ქავთარაძე  
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის  
მერის მოადგილე

2. „ქალაქ ქუთაისის ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ 2006–2015 წლებში მიწის ნაკვეთებისა და შენობა-ნაგებობების გასხვისების კანონიერების შესწავლის მიზნით შექმნილი ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დროებითი სამუშაო ჯგუფის პერსონალური შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 29 ივნისის N279 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ბატონი დ.დვალი  
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის  
საკრებულოს თავმჯდომარე

ბატონი ი.ჟორჟოლიანი  
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის  
საკრებულოს აპარატის უფროსი

3. ქალაქ ქუთაისის ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ 2006-2015 წლებში მიწის ნაკვეთებისა და შენობა-ნაგებობების გასხვისების კანონიერების შესწავლის მიზნით შექმნილი ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დროებითი სამუშაო ჯგუფისათვის უფლებამოსილების ვადის გაგრძელების შესახებ

ბატონი გ.ქობალიანი  
საკრებულოს დროებითი სამუშაო ჯგუფის  
თავმჯდომარე

ბატონი ი.ჟორჟოლიანი  
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის  
საკრებულოს აპარატის უფროსი

4. „თვითმმართველ ქალაქ ქუთაისში გარე რეკლამის განთავსების გეგმის დამტკიცების თაობაზე“ თვითმმართველი ქალაქის – ქუთაისის საკრებულოს 2010 წლის 24 ნოემბრის N67 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ

ბატონი შ.მურდულია  
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

ბატონი ბ.ჭეიშვილი  
მერიის არქიტექტურისა და ზედამხედველობის  
სამსახურის უფროსი

5. ქალაქ ქუთაისში, პაოლო იაშვილის ქუჩის მე-2 შესახვევისათვის (კოორდინატები: X-311215,336 Y-4681949,834; X-311224,31 Y-4681943,004; X-311221,964 Y-4681847,611; X-311231,936 Y-4681849,523; X-311268,204 Y-4681772,885; X-311271,799 Y-4681773,001) ჯუმბერ რუსაძის სახელის მინიჭების შესახებ

ბატონი შ.მურდულია  
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

ბატონი ბ.ჭეიშვილი  
მერიის არქიტექტურისა და ზედამხედველობის  
სამსახურის უფროსი

**მუხლი 3.** ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვ.კუპრაძის ქუჩა N11/, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

**მუხლი 4.** ბრძანება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე

დავით დვალი